ბორჯომი

15 ივნისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№25 (9287)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

დღის წესრიგში მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული მოსახურება

ჩვენ გადავწყვიტეთ 154 ახალი ავტობუსის შეძენა, რაშიც ჩვენ გადავიხდით 53 მილიონ ლარს. ეს იქნება 8-მეტრიანი Isuzu-ს მარკის თანამედროვე, ევრო-5-ის სტანდარტის ავტობუსები, რომლებიც რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას მოემსახურებიან, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ახალი ავტობუსების შეძენა კიდევ უფრო კომფორტულს გახდის გადაადგილებას.

წლების განმავლობაში, მოგეხსენებათ, რომ არსებული შიდა საქალაქო გადაადგილება იყო დაკავშირებული პრობლემებთან და ამიტომ, ეს პროცესი მიმდინარეობს. ჩვენ კიდევ ვაპირებთ დამატებითი ავტობუსების შეძენას, რომ კიდევ უფრო მეტად კომფორტული იყოს გადაადგილება ჩვენი ხალხისთვის, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს დღეს დედაქალაქში, ქალაქებში თუ რაიონებში არსებული ავტოსადგურები.

- გახსოვთ, წინა კვირას ჩვენ დავაანონსეთ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა. ჩვენ ამის თაობაზე ბატონი ლევან დავითაშვილიც გესაუბრათ. ეს რეფორმა შეეხება საავტომობილო, სამგზავრო გადაყვანას ქვეყნის შიგნით. ეს სფერო არის მოსაწესრიგებელი. დამეთანხმებით, რომ ყველგან პრობლემებია, თუნდაც ავტოსადგურების მიმართულებით. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს დღეს დედაქალაქში თუ ქალაქებში, თუ რაიონებში არსებული ავტოსადგურები. ამას სჭირდება სპეციალური სტანდარტების შემოტანა. ჩვენ გადმოგვაქვს ევროპული სტანდარტები. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივცემთ გონივრულ ვადებს ამ ავტოსადგურების მფლობელებს, ასევე, გადამყვან კომპანიებს თუ ცალკეულ ინდივიდებს, ფიზიკურ პირებს. აუცილებელია, რომ ჩვენი ხალხის გადაყვანა, მგზავრობა იყოს კომფორტული და უსაფრთხო. აქ ეკოლოგიაზეც არის საუბარი. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ხალხის გადაყვანა ხდება ე.წ. სამარშრუტო ტაქსებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არის გადაკეთებული, რაც, რა თქმა უნდა, არ არის უსაფრთხო და, მეორე მხრივ, ძალიან არაკომფორტულია. მე, პირველ რიგში, უსაფრთხოებაზე მინდა გავაკეთო აქცენტი. უსაფრთხოებაზე და შემდეგ კომფორტზე. ამიტომ, ამ მიმართულებით ჩვენ დავიწყეთ უკვე მუშაობა. ეს ყველაფერი აღირიცხება, უნდა იყოს მოწესრიგებული, უნდა ჩანაცვლდეს, უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების სამარშრუტო ტაქსები, და ეს ყველაფერი ძალიან მალე უნდა მოწესრიგდეს, სულ რაღაც წელიწად-ნახევარში და წლის ბოლოდან დაიწყება ეს პროცესი, - განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

ლექციების კვირეული მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცების საკითხებზე

საჩხერისა და ჭიათურის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიების წინამძღოლი მიუფლე დანიელის (დათუაშვილის) ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით, ბორჯომში საჯარო ლექციათა კვირეული მიმდინარეობს.



საჯარო ლექციაზე თბილისიდან მოწვეულმა ლექტორებმა, თეოლოგებმა - **გიორგი გვასალიამ** და თემურ ბუაძემ ვრცლად ისაუბრეს ღვთისმსახურების არსზე - რას ნიშნავს ჭეშმარიტი ღვთისმსახურება, რა დანიშნულება აქვს მას საზოგადოებისათვის, რამდენად მნიშვნელოვანია ის პიროვნების ბედნიერებისათვის და მტკიცე საზოგადოების შენებისათვის. ასევე, მათ უშუალოდ ადამიანის დანიშნულებაზეც ისაუბრეს, რისთვის მოევლინა ადამიანი სამყაროს, რა როლი აქვს მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ღვთისმსახურება. რა გზა უნდა გაიაროს ადამიანმა და როგორ უნდა მოიპოვოს მარადიული ბედნიერება. პასუხი მარტივია: მსახურებით, რომელიც იწყება ღვთისმსახურებით და აღესრულება მოყვასის მსახურებაში...

აღნიშნულ საჯარო ლექციას **ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი, მერი ოთარ**

არბოლიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ნიკოლოზ კიკნაძე,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ე.წ ახალი უბნის დასახლებაში მტკვრის სანაპიროზე დაზიანებული დამცავი საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი** და ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.

სამუშაოებს „საქართველოს სამშენებლო კომპანია“ ასრულებს.

დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 900 000 ლარია გამოყოფილი.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს, ბორჯომში მოსული უხვი ნალექის გამო, ახალი უბნის ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელ გზაზე, მდინარე მტკვრის ადიდებამ ნაპირსამაგრი კედელი დააზიანა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

აკადემიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

7 ივნისს გაიმართა საქართველოს მაცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება. მეცნიერებმა არაერთი აქტუალურ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება, რომელთა დადებითად გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სახელოვან მეცნიერის წვლილს ქვეყნის განვითარების საქმეში.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა მადლობა გადაუხადეს აკადემიკოს **გიორგი კვესიტაძეს**, რომელიც აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე ათი წელი ნაყოფიერად მოღვაწეობდა.

საერთო კრებაზე საპროგრამო სიტყვით გამოსვლის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს აკადემიკოსი **როინ მეტრეველი.**

ვულოცავთ ბატონ როინს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად არჩევას და ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე, სანაპიროზე სკვერის მოწყობის სამუშაოები გრძელდება. პროექტის მიხედვით, ტერიტორიაზე ეწყობა საყრდენი კედელი, შიდა ბილიკები, განთავსდება საბავშვო

ატრაქციონები, ფიტნეს-ტრენაჟორები, ფანჩატური, დეკორატიული საბაღე სკამები, სანაგვე ურნები, დამონტაჟდება დეკორატიული ლამპიონები და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 846 155 ლარს შეადგენს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი** და ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.

2024 წლისთვის მოსახლეობის აღწერა დაიწყო

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 5 ივნისიდან მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, იმერეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში საცხოვრისების შემოვლა და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება დაიწყო.

საქსტატის ცნობით, პირველი ეტაპის სამუშაოები აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებული შენობებისა და მათში ფაქტობრივად მცხოვრები შინამეურნეობების სრითი შემადგენლობის განსაზღვრას გულისხმობს.

- მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი საველე სამუშაოები 15 დღის განმავლობაში გაგრძელდება და მას საქსტატის მიერ გადამზადებული პერსონალი განახორციელებს. მონაცემთა შეგროვება თანამედროვე ტექნოლოგიებით მიმდინარეობს, რომლის დროსაც პლანშეტური კომპიუტერები გამოიყენება.

პირველი ეტაპის სამუშაოების დროს შეგროვდება ინფორმაცია ქვეყნის შინამეურნეობებისა და მათში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ თითოეული საცხოვრისის მიხედვით, რაც აუცილებელია მოსახლეობის მომდევნო აღწერის ჩასატარებლად.

2023 წლის ივნისში შინამეურნეობების წინასწარი სიების შედგენა სხვა რეგიონებშიც გაგრძელდება და მიმდინარე წლის ბოლომდე მთელ ქვეყანას მოიცავს. აღნიშნულ სამუშაოებში საქსტატის მიერ გადამზადებული 3 500-მდე ინტერვიუერი იქნება ჩართული. მოსახლეობის აღწერის ძირითადი მონაცემების შეგროვება.

2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის პერიოდში იგეგმება, რომლის დროსაც მიიღება დეტალური მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის და მისი შემადგენლობის, ასევე სხვადასხვა სახის დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ, თვითმმართველი ერთეულებისა და დასახლებების მიხედვით.

აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და ზოგადოების ინფორმირების მიზნით. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული აქტივობების შესაფასებლად.

აღწერაზე გაწეული დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, 2024 წელს, მოსახლეობის აღწერასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო აღწერაც ჩატარდება. შესაბამისად, დემოგრაფიულ და სოციალურ მონაცემებთან ერთად, შეგროვდება ინფორმაცია შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ.

მოსახლეობის აღწერები ქვეყანაში 10 წელიწადში ერთხელ ტარდება. საქართველოში უკანასკნელი აღწერა 2014 წელს ჩატარდა, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბაკურიანის ახალი ამბები

ამიერიდან მუდმივი მასპინძლები ვიქნებით

ბაკურიანი და გუდაური, FIS-ის **საშეჯიბრო კალენდარში, მუდმივ მასპინძლებად მოინიშნა.**

საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) გადაწყვეტილებით, გუდაური და ბაკურიანი, მსოფლიო თასის ეტაპებს ყოველწლიურად უმასპინძლებს.

2023-2024 წლის ზამთრის სეზონზე, მსოფლიო თასის ეტაპები ბაკურიანში მოგულსისა და სქი კროსის, ხოლო გუდაურში - სნოუბორდ ქროსის დისციპლინებში ჩატარდება.

კონკრეტული საშეჯიბრო არეალების შერჩევის მიზნით, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) მაღალი რანგის დელეგატები: **კლაუს ვალდნერი, უვე ბეიერი და ალბერტო სკიავონი,** სამუშაო ვიზიტით ბაკურიანსა და გუდაურს ესტუმრნენ.

საქართველომ უმაღლეს დონეზე უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს (ბაკურიანი 2023), ფრისტაილში სნოუბორდსა და ფრისკიში, რამაც შედეგად განაპირობა, რომ FIS-ის ყოველწლიურ კალენდარში, საქართველო ზამთრის სპორტის ისეთი ტრადიციული ქვეყნების გვერდით იკავებს ადგილს, როგორიც არის: საფრანგეთი, იტალია, შვედეთი, ფინეთი, აშშ, კანადა და სხვა.

- ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ, უახლესი ინფრასტრუქტურითა და კარგად დაკომპლექტებული საორგანიზაციო ჯგუფით. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ საქართველო ღირსეულად წარმოჩენილიყო. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციას დავანახეთ ჩვენი პოტენციალი და შესაძლებლობები. არაერთხელ აღინიშნა მათ მიერ, რომ იდეალურად შევასრულეთ ნაკისრი ვალდებულებები. სწორედ ამიტომ მუდმივ კალენდარში მოვხვდით, რაც უმნიშვნელოვანესია, როგორც ზამთრის კურორტებისა და სპორტის განვითარების, ისე საქართველოს პოპულარიზაციისთვის, - აღნიშნა მთის ტრასების სააგენტოს (MTA) დირექტორმა **ირაკლი ბურჭულაძემ.**

მოსწავლეები წიგნებს მეგობრობენ

ბორჯომის საქალაქო ბიბლიოთეკამ სამახსოვრო დიპლომი გადასცა ბაკურიანის საჯარო სკოლის მეორე ბ კლასის ხელმძღვანელს, **მაია ბაბუნიძეს** ბიბლიოთეკის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის. საგაზაფხულო ღონისძიებების შემდეგ, სადაც მეორე კლასელებმა თავის აქტიურობით დაგვამახსოვრეს თავი ბაკურიანის ბიბლიოთეკის გამგე **დარეჯან ბარათელი** ესაუბრა მათ წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე. ამჯერად ბაკურიანის ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე, სადაც მათ ხელმძღვანელს, **მაია ბაბუნიძეს** დიპლომი გადაეცა, ბავშვებმა თავისი ნახატებიც მიიტანეს. მათ ბავშვური გულწრფელობით გამოხატეს წიგნის კითხვის მნიშვნელობა ადამიანისთვის. პატარები მხოლოდ ნახატებს არ დასჯერდნენ და როგორც უკვე ჩვევად ექცად, დამრიგებელმა ისინი ჯეროვნად მოამზადა - ლექსები და სიმღერები უკვდავი ფასეულობების-სამშობლოს და დედის პატივისცემის და სიყვარულის შესახებ გასაოცარი ენთუზიაზმით წარმოთქვეს და იმღერეს.

დარეჯან ბარათელმა ტრადიციისამებრ წიგნებით დააჸრუქრა პატარები, ომლებიც დაპირდნენ მოახლოებულ არდადეგებს ისინი აუცილებლად წიგნებთან ერთად გაატარებენ.

მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები

ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის ქალბატონ **ეკატერინე ორჯონიკიძის** დიდი ძალისხმევით რეგიონალური განვითარების პროექტის ფარგლებში დაიწყო 9 აპრილის ქ. №11. კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რუსუდან სხირტლაძე

არტ-იმედს დიდი გეგმები ქვს

ბაკურიანის საჯარო სკოლისა და თეატრალური დასის ჩართულობით არტ-იმედის ფარგლებში კიდევ ერთი ღონისძიება გაიმართა ბაკურიანის კინოთეატრ დიდველის დარბაზში. ღონისძიება ბავშვებს და მშვიდობას მიეძღვნა. არტ-იმედის სულისჩამდგმელი ბაკურიანელი ეთერ ქიმერიძე მშობლებთან და ენთუზიასტებთან ერთად ორიენტირებულია ბაკურიანში კულტურული კუთხის განვითარებაზე. არტ-იმედს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს მშობლების, სკოლის პედაგოგების და სხვა ბაკურიანელების მხრიდან.

პარკინგი ფასიანი უნდა გახდეს

მიმდინარეობს მიწის სისტემური რეგისტრაცია

რეფორმის დაწყებიდან დღემდე:

2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე, საველე სამუშაოების ფარგლებში აიზომა - 239 769 მიწის ნაკვეთი (70 557.29ჰა);

2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე, მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში რეგისტრირებულია 155 642 ნაკვეთი (559501822.6.კვმ.);

1 სამუშაო დღეში არსებული რესურსით (580 ამგეგმავი) იზომება საშუალოდ 1700-2 000 მიწის ნაკვეთი;

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში ყოველდღიურად არსებული რესურსით (196 რეგისტატორი) განიხილება საშუალოდ 2 300 განცხადება;

მობილიზებულია 159 მაღალი გამავლობის ავტომობილი, 3 მიკრო ავტობუსი, გეოდენიური ხელსაწყოები (383 კომპლექტი) და კომპიუტერული ტექნიკა.

რას ნიშნავს სისტემური რეგისტრაცია?

სისტემური რეგისტრაცია არის პროცესი, რომლის დროსაც სახელმწიფო **საკუთარი ინიციატივით, სისტემური წესით,** ზომავს მიწის ნაკვეთებს კონკრეტულ არეალებზე, იძიებს შესაბამის დოკუმენტაციას და არეგისტრირებს საკუთრებას.

მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო.

2022-202 წლებში მიწის ნაკვეთები სისტემური წესით საქართველოს **ყველა** მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდება (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი).

სისტემური რეგისორაციის ფარგლებში უფასოა შემდეგი მომსახურება:

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და სისტემატიზება; საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მომზადება;

საკადასტრო მონაცემების ცვლილება;

საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია; საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაზუსტება; გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება; დავების გადაწყვეტა (სანოტარო მედიაცია);

მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თავად შეასრულებს ყველა იმ პროცედურას, რომელიც საჭიროა ნაკვეთის რეგისტრაციისთვის **და თქვენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში სიარული და დამატებითი ხარჯის გაწევა აღარ მოგიწევთ.**

აღნიშნულ პროცესში თქვენ უნდა დაელოდოთ თქვენსავე დასახლებაში სისტემური რეგისტრაციის სამუშაოების დაწყებას და აგილზე მოსულ საჯარო რეესტრის ამზომველთა ჯგუფებს ნაკვეთების საზღვრები სწორად მიუთითოთ.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში რა ტიპის ნაკვეთები ექვემდებარება რეგისტრაციას?

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მიწის ნაკვეთები რეგისტრირდება, როგორც საკუთრების ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, ასევე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები.

რა ფართი შეიძლება იყოს აღიარებული ჯამურად ერთ ფიზიკურ პირზე ან კომლზე (კომლის წევრებზე?)

აღიარებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი (ითვლება აღიარების კომისიის მიერ უკვე აღიარებული ფართობებიც). ერთ ფიზიკურ პირზე ან კომლზე (კომლის წევრებზე) ბარში არ უნდა აღემატებოდეს 1.25 ჰა-ს, ხოლო მარალმთიან დასახლებაში 5 ჰა-ს.

უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად შეიძლება ჩაითვალოს:

მიწის მიღება-ჩაბარების აქტი;

მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული მებაღის წიგნაკი;

მიწის სისტემური რეგისტრაციის სააღრიცხვო ბარათი, საკომლო წიგნიდან ამონაწერი;

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი ცნობა-დახასიათება;

მიწის გადასახადის გადამხდელთა სია,

მიწის განაწილების სია;

მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი,

სასამართლოს აქტი;

სხვა დოკუმენტი, რომლითაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ან მისი მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება.

თუ არ გაძვს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები:

საჯარო რესურსების ეროვნული სააგენტო თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების აღიარების საკითხს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობის გარეშე განიხილავს.

რა მეშვალება თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის პროცესში?

მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი დაადასტურებინოთ იმავე სარეგისტრაციო ბლოკში მდებარე ორი მომიჯნავე ა/და სამი არამომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეობას/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირებს და მატტან ერთად ხელი მოაწეროთ ადგილზე დათვალიერების ოქმს.

დამეკისრება თუ არა დამატებითი გადასახადი მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ?

თუ მიწის ნაკვეთზე უფლება 2004 წლის პირველ მარტამდე შედგენილი უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე დარეგისტრირდა, მიწის გადასახადი თქვენ არ დაგეკისრებათ.

(გარეკლება იძნება)

მოვუფრთილდეთ საერთო საკუთრებას

ადგილობრივი მუნიციპალიტეტისათვის ბოლო წლებია პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქში თუ სოფლად ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზნით, როგორც მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებში სათამაშო მოედნები და სხვა დამატებითი სპორტული სივრცეები მოეწყო, რაც ნამდვილად მოსაწონია. სამწუხაროდ, საზოგადოების ერთი ნაწილის „პასუხისმგებლიან“ საქციელზე ამას ვერ ვიტყვით. უამრავ ადგილზე თვალში საცემია დაზიანებული სპორტული ტრენაჟორები, სათამაშო მოედნების უკვე ჩამოვარდნილი და დაზიანებული კარებები, სკვერებში მდგარი დამტვრეული სკამები, ნაგვით გადავსებული urnebi, ეს და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ, რაზეც თვალს მრთელა ვერ დავხუჭავთ. თუნდაც ლიკანში, სწორედ იმ დასახლებაში, სადაც მე ვცხოვრობ, ორი მრავალბინიანი კორპუსი დგას გვერდიგვერდ და ბინის უკან კიდევ საკმაოდ მოზრდილი დასახლებაა. ჩვენი კორპუსის წინ სკვერი რამდენიმე წლის წინ გააკეთეს, სადაც წლების მანძილზე ფაქტიურად, უსახური ნაგავსაყრელი და დაბინძურებული ტერიტორია იყო. ახლა კი ეს ადგილი ულამაზესად გამოიყურება, მაგრამ რად გინდა? განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, როდესაც აქ უამრავი ახალგაზრდობა იყრის თავს, საღამოს საათებში მათ მიერ დაყრილ მზესუმზირის ჩენჩოებით, სიგარეტის კოლოფებით, ჩიფსებისა თუ სხვადასხვა ტკბილეულის პაკეტებითა თუ და ცარიელი ბოთლებითაა ტერიტორია სავსე. სადარბაზოებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სადაც არ უნდა შეხვიდეთ, ყველგან ნაგავი ყრია, მიირთმევენ და ნარჩენებს იქვე ყრიან. რამდენიმე მობინდრე ვალაგებთ, ვგვით დაბინძურებულ ტრრიტორიებს, თუმცა რად გინდა? ორიოდე დღის შემდეგ ისევ ანალოგიური მდგომარეობა გვხვდება. ჩვენი კორპუსის გვერდით მდგარ კორპუსში, სადაც ნლების მანძილზე ცარიელი ადგილი იყო, სპორტული მოედანი გააკეთეს და ამ მოედნის გასაკეთებლად ადგილობრივებმა ბევრჯერ შეაწუხეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები და როგორც იქნა, აქ მართლაც არაჩვეულებრივი სპორტული მოედანი და საღამოობით უამრავი ახალგაზრდა იყრის თავს. სამწუხაროდ, მოედანის გაკეთებიდან სულ ცოტა დრო იყო გასული, როდესაც კარები ფაქტიურად ჩამოაგდეს. იმ კარებს, რომ პატარა ბავშვები ვერ ჩამოაგდებდნენ, ისიც კარგად ვიცით, რადგანაც თუ შედარებით მოზრდილმა ადამიანმა ძალით არ დააზიანა ისე ნამდვილად ვერ გაფუჭდებოდა. საბედნიეროდ, რამდენიმე მოსახლემ საკუთარი ძალებით შეაკეთა ეს დაზიანებული კარი, თუმცა, რამდენიმე დღეში ერთის ნაცვლად ორივე კარი დახვდათ დაზიანებული. მათ ისევ შეაკეთეს. მე პირადად ამ ყველაფრის შემყურეს კითხვა მაქვს არამარტო ჩვენი ორი კორპუსისა და ახლომდებარე მაცხოვრებლებთან, როდესაც თქვენ შვილები, ახლობლის ან მეზობლის შვილები თამაშობენ სპორტულ მოედანზე, ან თუნდაც სკვერში, ნუთუ ვერავინ ვერ ხედავთ, რომ ნაგავს ყრიან და საერთო საკუთრებას აზიანებენ? მერე გამოხვალთ და იწყებთ სახელმწიფოს ლანძღვას, რომ უხარისხოდ აკეთებენ ყველაფერს. იქნებ იმაზე გეზრუნათ, რომ საკუთარ შვილებს ასწავლოთ საზოგადოებრივი საკუთრების მოფრთხილება? ის რომ, მათ გარდა სპორტულ მოედანზე სხვამაც უნდა ითამაშოს, სხვებმაც უნდა ისარგებლონ აღნიშნული სკვერებითა თუ ტრენაჟორებით და რომ მათ არ აქვთ ამ ყოველივეს დაზიანების უფლება? სანამ საზოგადოებრივი და საერთო საკუთრების მოფრთილებას არ ვისწავლით, არაფერი არ გვეშველება და ასე გაუთავებლად სახელმწიფოს მიმართ გაშვერილი ხელით მოგვიწევს ყოფნა. ამიტომაც, ჯერ საკუთარ თავში ვეძიოთ ნაკლი და მერე დამერწმუნეთ, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

მომზადა ნაბო მელიქიძემ

ცემში ქვეყანაზე სასარგებლო სასტუმრო გავშვებისათვის!

ველნეს-კურორტ „განთიადს“ ოჯახური ისტორია აქვს. თავის დროზე ის ბავშვთა სანატორიუმი იყო, რომელიც 1973 წელს გაიხსნა. სანატორიუმში, რისკჯგუფისა და სუსტი იმუნური სისტემის მქონე ბავშვებისთვის, შვიდ კლასამდე სკოლა ფუნქციონირებდა. როგორც სასტუმროს გენერალურმა მენეჯერმა დიანა ჩომახაშვილმა თქვა, სანატორიუმის აღდგენის პერიოდი დაახლოებით 4 წლის წინ დაიწყო. რეაბილიტაცია 3 წელი გაგრძელდა. რის შემდეგაც, იგი თანამედროვე ველნეს-კურორტად იქცა და დღეს „განთიადი 70-ნომრიანი სასტუმროა თავისი ტყით, პარკით. სასტუმროში სტანდარტული ფასი, ორ კაცზე სამჯერადი კვებით, 200-დან 280 ლარამდეა, მაგრამ სეზონზე, ივლისი-აგვისტოში 20 თანხა 260-დან 350-მდე ლარამდე იზრდება. სასტუმროს აღდგენა და რეაბილიტაცია ნანილობრივ „აწარმოე საქართველოს“ 3 მილიონიანი ლარის გრანტით განხორციელდა, თუმცა, როგორც დიანა ჩომახაშვილი ამბობს, მაქსიმალურად გამოიყენეს არსებული ბაზა, ძველი ავეჯი ახლად გარდაქმნეს და შეეცადნენ, რომ ძველი სანატორიუმის იერსახე შეძლებისდაგვარად შეენარჩუნებინათ.

დიანა ჩომახაშვილის თქმით, ჰაერზე ყოფნას არ აქვს სეზონი და ჰყავთ დამსვენებლები, რომლებიც წელიწადში 3-4-ჯერ ჩამოდიან.

- ცემში ნაძვის და ფიჭვის დამტვერვის პერიოდი მაისის შუა რიცხებში იწყება და ჯერ არ დასრულებულა. გვყავს დამსვენებლები, და ამ ეტაპზე ივლისი და აგვისტო პრაქტიკულად დაჯავშნილია.

დამტვერვის პერიოდი მაისის შუა რიცხებში იწყება და 4 კვირამდე გრძელდება იმიტომ, რომ მორიგეობით ყვავის ნაძვი და ფიჭვი და ითვლება, რომ დამტვერვას იმუნური სისტემისა და ზედა სასუნთქი გზების გაჯანსაღებისთვის დადებითი გავლენა აქვს. ამას გარდა, ცემი საშუალო კლიმატურ მთის კურორტებს მიეკუთვნება და საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ზღვის 1120 მეტრზე მდებარეობს, მაშინ როცა ბაკურიანი 1700 მეტრზეა და ეს უფრო რბილ კლიმატს განაპირობებს - აცხადებს დიანა ჩომახაშვილი.

როგორც „განთიადის“ გენერალური მენეჯერი გვიდასტურებს, „განთიადი“ საშუალო სეგმენტის ზედა რგოლი, ძირითადად ოჯახებზეა გათვლილი, სტუმრების 90 ქართველია, თუმცა, სამომავლოდ უცხოელებზე პოზიციონირებასაც გეგმავენ. მანამდე კი, პედიატრის მომსახურებასთან ერთად, სხვა სამედიცინო სერვისების დანერგვა სურთ.

- აქტიურად ვნერგავთ სამედიცინო სერვისებს. ჯერჯერობით, ჩვენი ვიზიტორებისთვის, კვირაში 2-ჯერ პედიატრის უფასო მომსახურება გვაქვს. ნელ-ნელა სამედიცინო ნაწილი კიდევ გაძლიერდება - პედიატრი და კლიმატოთერაპევტი გვეყოლება, რომელიც რეკომენდაციებს გაუწევს - როგორ ვისარგებლოთ ამ კლიმატით ისე, რომ მაქსიმალურად სასარგებლო იყოს პაციენტისათვის. გვექნება ისეთი პროცედურები - როგორიცაა ინჰალაციები და ჰაერის აბაზანები, რომელიც მზესთან ერთად გამაჯანსაღებელ ეფექტს იძლევა. გარდა ამისა, სიმაღლის გამო ჩვენთან ძალიან დაბალი რადიაციაა. გვექნება ფიზიოთერაპიული პროცედურებიც. ეს ყველაფერი ერთად, თავის დროზე, სამკურნალო მიზნებისთვის იყო გამოყენებული და ვფიქრობთ, რომ დავაბრუნოთ და აღვადგინოთ, - აცხადებს **დიანა ჩომახაშვილი.**

სასტუმროს გენერალური მენეჯერი გვიყვება, რომ „განთიადში“ სამედიცინო მიმართულების გარდა, სარესტორნო მიმართულების განვითარებაც იგეგმება.

„ძალიან კარგი მზარეულების ჯგუფი გვყავს და ვფიქრობთ, რომ შევქმნათ ისეთი ადგილი, რომლითაც არა მხოლოდ ჩვენი ვიზიტორები ისარგებლებენ, არამედ სტუმრები გარედანაც შემოვლენ. ამას გარდა, საკონფერენციო და ჯგუფური მომსახურებაც გვინდა შევთავაზოთ მომხმარებელს, რადგან თეამ უილდინგ-ის კუთხითაც ჩვენს ეზოში კარგი შესაძლებლობებია,“ - აცხადებს დიანა ჩომახაშვილი.

ველნეს-სასტუმროში აქცენტს ადგილობრივ კადრებზე აკეთებენ და 60-მდე თანამშრომელი ადგილობრივი ჰყავთ დასაქმებული. მთავარი გამოწვევა კი ის არის, რომ ველნეს-სასტუმრო 4 სეზონის კურორტი გახდეს და დატვირთვა დაბალი სეზონებსა და დღესასწაულებზეც გაიზარდოს.

მასალა მოიძია მონიკა ჟანტურიამ

ისტორიის ლაბირინთებში

ტამპლიერების საიდუმლო

XII საუკუნეში ქრისტიანული ეკლესია უკვე აღარ გავდა პატარა იუდეიურ სექტას, როგორც იყო მისი შექმნის დასაწყისში. მისი გავლენა ვრცელდებოდა დასავლეთ ევროპის ყველა სფეროში. ამ პერიოდში ქრისტიანულ სამყაროში მეფობდა აბატი ბერნარ კლერფოსელი, რომელიც მის სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხეს. მწერალი-მისტიკოსი, შესანიშნავი ორატორი, მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზატორი. მის იდეებს იზიარებდნენ რომის პაპები, ფეოდალები შიშით უყურებდნენ ამ კაცის ავტორიტეტის ძლევამოსილ ზრდას.

1128 წელს ბერნარმა ჩამოაყალიბა რაინდთა სამხედროტაძრეულთა ტამპლიერების ორდენი, რომლის ძირითადად ბირთვს ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაბრუნებული რაინდები შეადგენდნენ. თავდაპირველად ორდენი დაფუძნდა დასავლეთ ევროპაში, რომელიც მოიცავდა საფრანგეთის, კატალონიის, არაგონის, მალიორკის, გერმანიის, იტალიის, სიცილიის და ინგლისის ტერიტორიებს.

XIV საუკუნის დასაწყისში ორდენი უკვე ფლობდა ათიათასზე მეტ სამფლობელოს, რომელთაგანაც მარტო ათასი საფრანგეთის ტერიტორიაზე იყო. ორდენი შედგებოდა სამი კატეგორიის საძმოსაგან, რომელთაგანაც მთავარი იყო კეთილშობილ რაინდთა კასტა. გარდა ამის ორდენს წევრები იყვნენ ეკლესიის მსახურები, ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები, პალესტინიდან წამოყვანილი შავკანიანი მონები.

ორდენის სათავეში იყო დიდი მაგისტრი, რომელსაც ირჩევდა დასავლეთ ევროპის ცხრა პროვინციის წარმომადგენელთა კრება. იგი ფლობდა აბსოლიტურ ძალაუფლებას. გარდა ახალი რაინდების მიღების საკითხისა, ორდენის ქონების გაყიდვისა და რეგიონების ხელმძღვანელთა დანიშვნისა. ამ საკითხებს საერთო კრება წყვეტდა.

ტამპლიერები თავიანთი ძალაუფლების გარდა არ ცნობდნენ არავის ძალაუფლებას, მიუხედავად იმისა, ვის ტერიტორიაზეც იმყოფებოდნენ. ორდენი არ იხდიდა არანაირ გადასახადებს, მათ შორის არც საეკლესიო და არც საბაჟო გადასახადებს. მათ ყავდათ საკუთრი პოლიცია და თავისი ტრიბუნალი. ფორმალურად დიდი მაგისტრი მხოლოდ რომის პაპს ემორჩილებოდა, რომელსაც მისი ეშინოდა.

ტამპლიერებს ძლიერი სამხედრო რესურსი გააჩნდათ. მათ რიგებში იყო 15 ათასი რაინდი და 45 ათასი სერჟანტი, თუ არ ჩავთვლით ეკლესიის მსახურებს, გლეხებს, ხელოსნებს და ვასალებს. ეს არმია გაფანტული იყო ძველ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე და მასშტაბური ომების წარმოება არ შეეძლო. სამაგიეროდ, შეეძლო ორდენის ქონების და ფასეულობების დაცვა მთელ ტერიტორიაზე. ორდენის დებულება მის წევრებს ავალებდათ მომჭირნეობით დაეგროვებინათ ქონება და კრძალავდა ფასეულობის გაყიდვას უმაღლესი საბჭოს ნებართვის გარეშე. მათი სიძუნწე იქამდე მიდიოდა, რომ ფული ტყვედ ჩავარდნილი ორდენის წევრების გამოსახსნელადაც ენანებოდათ.

ტამპლიერებმა შექმნეს ფლოტი და ხმელთაშუა ზღვაზე ხელში ჩაიგდეს მთელი ვაჭრობის მონოპოლია. მათ ხომალდებს გადაჰყავდათ ჯვაროსნები წმინდა მიწაზე. ამის გარდა მათი მომსახურებით სარგებლობდნენ ვაჭრები, დიდებულები და მოსახლეობის სხვა ფენები. ევროპიდან მათ გაჰქონდათ იარაღი, ცხენები, სხვადასხვა სამრეწველო საქონელი, ხოლო შემოჰქონდათ ღვინო, შაქარი და სუნელები ინდოეთიდან, ქსოვილი დამასკოდან, ნოხები და აბრეშუმი ირანიდან, პარფიუმერია არაბეთიდან. რომ მიელოთ ორდენის წევრებისაგან მხარდაჭერა, მონარქები და მდიდარი ფეოდალები მათ აძლევდნენ მიწებს, ციხე-კოშკებს, მდინარეებს, ტყეებს.

ტამპლიერებმა შექმნეს თავიანთი ბანკი. ათასი განშტოებებით. კომერსანტები ბანკში აბანდებდნენ ოქროს და სხვა ფასეულობებს, რომელსაც ორდენის წევრები უშვებდნენ ბრუნვაში დიდი პროცენტების სანაცვლოდ. ორდენი გახდა მსხვილი მევახშე ორგანიზაცია ევროპაში.

1140 წლიდან სამღვდელოებამ და საქალაქო კომუნებმა დაიწყეს გოთურ სტილში გრანდიოზული სამონასტრო მშენებლობები. ქალაქების მესვეურებს მცირე თანხები გააჩნდათ და თუკი ასეთი თანხები გამოჩნდებოდა, მას ქალაქის კედლების გამაგრებაზე ხარჯავდნენ. მიუხედავად ამისა, საფრანგეთში მოინახა თანხები უზარმაზარი ეკლესია-მონასტრების მშენებლობისთვის. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო ასეთი თანხების გამოყოფა ეს ტამპლიერების ორდენი იყო. 100 წელზე ნაკლებ დროში საფრანგეთში აშენდა ოთხმოცი უზარმაზარი და სამოცდაათი შედარებით მცირე ტაძარი. მშენებლობა მოითხოვდა უამრავ მუშახელს, ხოლო მათ ხელფასს ვექსილებით ვერ გადაუხდიდნენ. საჭირო იყო ბევრი ლითონის ფულიც, რომელიც მაშინ იშვიათობა იყო. განსაკუთრებით ვერცხლის ფული. ევროპაში ძვირფასი ლითონების მოპოვება მაშინ პრაქტიკულად არ ხდებოდა. ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი ვერცხლის საბადოები გერმანიაში, ჩეხეთში, რუსეთში. მიუხედავად ამისა ტამპლიერები ჭრიდნენ უამრავ ვერცხლის ფულს.

მაგრამ საიდან გაჩნდა ამდენი ვერცხლის ფული? ეს არავინ იცოდა, საერთოდ ტამპლიერები ბევრ ინს. მაგისტრები იღებდნენ გადაწყვეტილებებს უაღრესად საიდუმლოდ. ორდენის არქივები კი საიდუმლოდ მოცულ სიტუაციებში გააქრეს.

ორდენის ისტორიაში ბევრი აუხსნელი ფაქტი არსებობს. ერთი-ერთი მათგანი მის ფლოტს ეხება. ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მათ ჰქონდათ საგანგებოდ გამაგრებული პორტი ლაროშელი. ის ისედაც ბუნებრივად იყო გამაგრებული და ძნელად ასაღები, რაშიც გვიან დარწმუნდა კარდინალი რიშელიე. ეს პორტი ძლიერ შორს იყო როგორც ინგლისის ასევე პორტუგალიის ნაპირებიდან. იგი ქალაქ ნანტიდან 150, ხოლო რუანიდან 70 კილომეტრით იყო დაშორებული. ისმის კითხვა? რატომ იყო ეს პორტი ასეთი მნიშვნელოვანი ორდენისათვის, პორტი რომელიც აკონტროლებდა ვრცელ ტერიტორიას და მისკენ საფრანგეთის ყველა მხრიდან მიემართებოდა სპეციალურად გაკონტროლებული გზები.

ორდენი დღითი დღე ძლიერდებოდა. 200 წლის მანძილზე არავისი და არაფრის არ ეშინოდათ. ასე გრძელდებოდა 1307 წლის 12 ოქტომბრამდე, მანამდე, სანამ საფრანგეთის მეფე ფილიპე ლამაზმა ორდენის წინააღმდეგ არ წამოიწყო მოულოდნელი და ძალიან ეფექტური შეტევა. ტამპლიერებს დააბრალეს მწვალებლობა, მასიურად დააპატიმრეს მთელი რაინდთა საძმო, მოახდინეს მთელი ქონების კონფისკაცია რომის პაპმა ორდენი გაუქმებულად გამოაცხადა, რის შედეგადაც საქმეში ჩაერთო ინკვიზიცია. წამებით დაკითხვის დროს ერთ-ერთმა რაინდმა ჟან დე შალონმა აღიარა, რომ წინა ღამეს პარიზიდან გავიდა ორდენის სიმდიდრით დატვირთული ფურგონები, რომელსაც რაინდთა გაძლიერებული რაზმი აცილებდა. მათ პორტლაროშელში 17 გემი ელოდებოდა. საფრანგეთის მეფის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, გემების ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ისინი თითქოს აორთქლდნენ.

თამაზ ჩიკვაიძე
(გაგრძელება იქნება)

შექმენით ასეთი მიუზიკლები!

8 ივნისს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში უჩვეულო ზღაპარში შეგვიძლია ბორჯომის №6 საჯარო სკოლის პედაგოგი, მრავალმხრივ ნიჭიერი და გამორჩეული ხედვის ქალბატონი, მუსიკისა და ხელოვნების მოყვარული, ნანა ლორთქიფანიძე თავისი მოსწავლეებისაგან შემდგარი დასით.

,,ზღაპარი სიკეთისა და ბოროტებისა ანუ მზეონას თავგადასავალი“ - მუსიკალური სპექტაკლი მრავალფეროვან პერსონაჟებს მოიცავდა. რეალობაშიც ხომ ასეა: სიკეთის გვერდით ყოველთვის გვისაფრდება ბოროტიც, მაგრამ ავის კარგად გადაქცევა, ცუდის გაკეთილშობილება ჩვენი პედაგოგების მოვალეობა და დიდი მისიაა. მიუზიკლი ადვილი საქმე არაა და არც მაგით ვართ განებივრებულები ბორჯომის ხელოვნებისმოყვარე საზოგადოება, ამ მხრივაც მნიშვნელოვანი და საინტერესო დღე გახლდათ. შემოქმედმა პედაგოგმა, თავად შემსრულებელმა, მუსიკის ავტორმა, სცენარის შემდგენელმა მაქსიმალურად გამოაჩინა ბავშვების ფარული ნიჭი, შეიყვანა ისინი შემოქმედებითი წვის აქტიურ ფაზაში და განაცდევინა სიხარული სცენიდან დაკრული ტაშისა, ღელვა გულისა. სახუმარო საქმე ნუ გგონიათ მსახიობი-გოგო-ბიჭების ასე ერთნაირად კარგად ამღერება, სიტყვებთან სინქრონში ხასიათის ჩვენება. მასში უდიდესი შრომა, ენერგია, დრო დაუთმია სულისჩამდგმელს - ქალბატონ ნანას. ვფიქრობ, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ადგილობრივ ხელისუფლებას მისი ღვაწლის დროული დაფასება, დამსახურებული შემოქმედებითი უნარები. მას ხომ არაერთხელ წარმოუჩენია ბორჯომ-ქალაქი სხვადასხვა ასპარეზზე შინ თუ, გარეთ.

ნანა ლორთქიფანიძე, წარმოდგენილი მუსიკალური სპექტაკლის სცენარისა და მუსიკის ავტორი: მუსიკალური სპექტაკლი შედგა! მადლობა ყველას, ვინც დაგვეხმარა მის განხორციელებაში, მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის სამსახურს, ჩემს ყოფილ მოსწავლეებს შალვა გოგოლაძეს და შალვა ფხიკიძეს, მშობლებს, №6 სკოლას და დირექტორს, ქალბატონ ქეთინო ხაჩიძეს! ყველაზე დიდი მადლობა ჩემ არაჩვეულებრივ, ულამაზეს, უნიჭიერეს, ცელქ და მოუსვენარ მოსწავლეებს! მადლობა, რომ ვუძლებდით ერთმანეთს, ვხარობდით, ვბრაზობდით, ვმღეროდით, ვიცინოდით, ხან კმაყოფილები და ხან იმედგაცრუებულები ვიყავით, მაინც სიჯიუტით რომ მივდიოდით წინ... მადლობა, რომ ერთობლივად შევქმენით ფერადოვანი გმირები და ზღაპრული სამყარო სცენაზე... მადლობა გასაცარი თანადგომისათვის ერთმანეთის მიმართ, ყველა წარმატებულად დასრულებულ სიმღერაზე სიხარულისათვის, იმ ღელვისათვის, რასაც არ იმჩნევდით თითქოს... მადლობა ჩემი ისედაც შინაარსიანი დღეების მეტად გაფერადებისათვის! მინდა თქვენი მომავალი ზღაპრულად ლამაზი და მრავალფეროვანი იყოს! და მინდა გახსოვდეთ ეს დღე, პატარ-პატარა როლებით ერთი დიდი და ლამაზი ისტორია რომ შექმენით! ასე იქნება ცხოვრებაშიც, ერთად და ერთსულოვნებით - ყველაფერს მიაღწევთ! ჩვენ კიდევ არაერთხელ დავბრუნდებით ზღაპარში, იქნებ ახალი გმირებიც შეგვემატონ?! ისურვეთ და ვნახოთ... მიყვარხართ და მეიმედებით!

არაერთი მადლიერებით სავსე კომენტარს შეხვდებოდით სოციალურ ქსელში, რომლის ნაწილსაც გავუზიარებთ მკითხველს:

ხათუნა ურჩაძე, მწერალი: ჩემი ქალაქი, გასაოცარია თავისი ნიჭიერებით! გასაოცარი ზღაპარი-მიუზიკლი შემოგვთავაზა ქალბატონმა ნანა ლორთქიფანიძემ! დიდი შრომა გასწია, შედეგი კი, ამ შრომისა სცენიდან გულებს გვითბობდა და იმედებით გვაპურებდა. მადლობა, თქვენ, ქალბატონო ნანა, რომ არსებობთ ბორჯომის სინამდვილეში! იმედია, კვლავაც გაგვანებივრებთ თქვენი შესანიშნავი შემოქმედებით!

ლია ხუციშვილი: კიდევ ერთი მუსიკალური სპექტაკლის შექმნას, შენი მოსწავლეების ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობას და დაუვიწყარი დღეების ჩუქებას, გისურვებ კიდევ მრავალჯერ გაგეფერადებინოს მათი სკოლაში გატარებული დღეები, ვულოცავ ქეთინოს და ჩემს საყვარელ სკოლას ასე ლამაზად სასწავლო წლის დამთავრებას.

ნატო სანადირაძე, ექიმი: გარშემომყოფთა ემოციებით კარგად ჩანს, რომ შენი ჩანაფიქრი წარმატებით შესრულდა... გვინდა შენნაირი, მომავალი თაობებისთვის სწორი გეზის მიმცემი პედაგოგი ბევრი იყოს ქართულ საგანმანათლებო სისტემაში!

ლელა მუხურაძე, ლოტბარი: მეამაყება, რომ თქვენი მოსწავლე მქვია. უამრავი რამის სწავლა შეიძლება თქვენგან. როგორ გაუმართლა ბორჯომის №6 საჯარო სკოლას, რომ თქვენისთანა უნიკალური და უსაზღვროდ ნიჭიერი ადამიანი ჰყავს! ბარაქა თქვენს მოღვაწეობას და ენთუზიაზმით გაკეთებულ საქმეს!

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

ღია კარის დღე სამუსიკო სკოლაში

,,კიდევაც დაიზრდებიან...»

ბორჯომს საოცრად უხდება ღია ცის ქვეშ დაგეგმილი ღონისძიებები. მით უფრო, თუ ვირტუოზი ახალგაზრდების ჰანგები ამშვენებს თბილ ამინდსა და ხასხასა მწვანე ბუნებას. ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში ღია კარის დღე გაიმართა. ზღაპრულად მორთული დიდი ისტორიის მქონე შენობის შესასვლელი, ხელოვნების მოტრფიალე საზოგადოებით შემოსაზღვრული კლასიკურ მუსიკასთან სრულ ჰარმონიაში მოდიოდა. ეს დღე სამუსიკო სკოლის ისტორიაში დემონსტრირებაა იმისა, თუ რა მიღწევები ჰქონდათ აღსაზრდელებს მთელი წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, აქ კი არავის ეპარება ეჭვი, რომ ვარსკვლავების ცვენა უნდა იყოს. ქალბატონმა მარინა ქიტიაშვილმა - სკოლის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ უკვე მესამედ ტარდება ღია კარის დღე, რომელიც დამკვირდა ტრადიციად. ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა რიცხვი. ერთგვარი ანგარიშია ადგილობრივი უწყებების წინაშე, რომ უკვალოდ არ ჩაუვლია არცერთ ფინანსურ მხარდაჭერას და ეს ძალიან დასაფასებელია. შედეგებმა დღეს კიდევ ერთხელ დაარწმუნა მოწვეული სტუმრები, მშობლები, რომ მაღალი დონის პედაგოგები ყველაფერს აკეთებენ, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ისინი წარმოჩინდნენ საუკეთესოდ, გაიტანონ ბორჯომის სახელი კიდევ უფრო ფართო ასპარეზზე. გამოცდილი პედაგოგების: **მარინა ქიტიაშვილის, მარინე რატიანის, თეა მანჩხაშვილის, თამარ ბერიძის, ცირა პავლიაშვილის, ლირა ნადაშვილის, გულიკო ტალახაძის, მარინა გაბაშვილის, ლია ტაბატაძის** პედაგოგიური მიღწევების ყველაზე თვალსაჩინო დასტური იყო დღეს მათი მოსწავლეები. განსაკუთრებით ვოკალურმა შემსრულებლებმა დაატრიალეს პატრიოტული მუხტი, რომელიც ამაყად გათქმევინებდათ სამშობლოსადმი: **„ზეცამ გიმრავლოს შვილები, როგორც ვარსკვლავნი ცისანი!“**. ფორტეპიანოსთან მყოფი პატარა ვირტუოზებს თუ დააკვირდებოდით, თითქოს აკადემიური დიპლომი ჰქონდათ გაბმული საკრავთან, ვიოლინოს ჰანგებმა კი დაგვარწმუნა, რომ სათუთი და გააზრებული დამოკიდებულება სიმებიან ინსტრუმენტთან უკვე შემდგარი წარმატება გახლდათ. პატარების მრავალხმიანობის ტყვეობაში აღმოჩნდებოდით, როცა მათ მონდომებულ ქართულ სიმღერას მოუსმენდით. საგუნდო სიმღერისთვის საჭირო უნარები ხომ რჩეულ პედაგოგს და გამორჩეულ ბავშვებს გულისხმობს?! მაშ ასე, უნდა იცნობდეთ ბორჯომის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მიღწევებს რესპუბლიკურ, თუ საერთაშორისო არენაზე: საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეშვიდე ეროვნული კონკურსის გამარჯვებულები მეორე პრემიით გოგონათა გუნდი (**ქორმეისტერი - ცირა პავლიაშვილი**). საქართველოს მეთორმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული მესამე პრემიით - საფორტეპიანო ანსამბლი - **ელენე დოიჯაშვილი** და **ნანი ცაგურიშვილი**. კლასიკური მუსიკის მეთხუთმეტე რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსის **„იპოვე შენი ვარსკვლავის“** გამარჯვებული მეორე პრემიით და რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული მესამე პრემიით **ნინო დვალიშვილი** (ვიოლინო) (**პედ. თეა მანჩხაშვილი**). მეთორმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული მესამე პრემიით ლუკა გოგოლაძე (პედ, ლირა ნადაშვილი). მუსიკოს-შემსრულებელთა მეცხრე საერთაშორისო კონკურს „ნორჩი ვირტუოზის“ გამარჯვებული მესამე პრემიით - მეთხუთმეტე რესპუბლიკური ფესტივალი-კონკურსის „იპოვე შენი ვარსკვლავის“ გამარჯვებული მეორე პრემიით, მეთხუთმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული მესამე პრემიით **ნინო ქობაშვილი** (პედაგოგი **თამარ ბერიძე**). მეთორმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული პირველი პრემიით **მარიამ გასიშვილი** (პედაგოგი **გ. ტალახაძე**). კონკურსის **„ნორჩი ვირტუოზის“** გამარჯვებული, **„იპოვე შენი ვარსკვლავისა“** და რეგიონალური კონკურსის მონაწილე მესამე პრემიით **ერეკლე გელაშვილი**. მეთხუთმეტე რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსის **„იპოვე შენი ვარსკვლავის“** გამარჯვებული მეორე პრემიით, რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული პირველი პრემიით **მარიამ ციცქიშვილი - ვიოლინო,** (პედაგოგი **თეა მანჩხაშვილი**). მეთორმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული პირველი პრემიით **იოანე გაგლოშვილი** (პედაგოგი **მარინა გაბაშვილი**). **„იპოვე შენი ვარსკვლავის“** მეორე პრემიით, რეგიონალური კონკურსის პირველი პრემიით, ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლთა კონკურსის „რონდო-კლასიკის“ გამარჯვებული პირველი პრემიით **მარიკა აიწურაძე**. (პედაგოგი **ლ. ტაბატაძე**). მეთორმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული მეორე პრემიით **თეოდორა რუსიტაშვილი** (პედაგოგი **მარინა რატიანი**).

უთმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული მესამე პრემიით ნინო. ცაგურიშვილი კიდევ ერთი პატარა მონაწილე ვოკალისტმა კონკურს **„სხვა საქართველოს სად არის“** პირველი ტურის გამარჯვებული **ნინი ქოზაშვილი** (პედაგოგი **თამარ ბერიძე**). მეთორმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული პირველი პრემიით **მარიამ გასიშვილი** (პედაგოგი **გ. ტალახაძე**). კონკურსის **„ნორჩი ვირტუოზის“** გამარჯვებული, **„იპოვე შენი ვარსკვლავისა“** და რეგიონალური კონკურსის მონაწილე მესამე პრემიით **ერეკლე გელაშვილი**. მეთხუთმეტე რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსის **„იპოვე შენი ვარსკვლავის“** გამარჯვებული მეორე პრემიით, რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული პირველი პრემიით **მარიამ ციცქიშვილი - ვიოლინო,** (პედაგოგი **თეა მანჩხაშვილი**). მეთორმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული პირველი პრემიით **იოანე გაგლოშვილი** (პედაგოგი **მარინა გაბაშვილი**). **„იპოვე შენი ვარსკვლავის“** მეორე პრემიით, რეგიონალური კონკურსის პირველი პრემიით, ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლთა კონკურსის „რონდო-კლასიკის“ გამარჯვებული პირველი პრემიით **მარიკა აიწურაძე**. (პედაგოგი **ლ. ტაბატაძე**). მეთორმეტე რეგიონალური კონკურსის გამარჯვებული მეორე პრემიით **თეოდორა რუსიტაშვილი** (პედაგოგი **მარინა რატიანი**).

,,სხვა საქართველო სად არის?“ გამარჯვებული **ნიკოლოზ ჩადუნელი - ვოკალი.** (პედაგოგი **თ. ბერიძე**). **„ნორჩი ვირტუოზის“** გამარჯვებული (მეორე ადგილი), **„იპოვე შენი ვარსკვლავი“** (მეორე ადგილი), რეგიონალური კონკურსის (პირველი ადგილი) **შალვა არბოლიშვილი** (პედაგოგი **მ. გაბაშვილი**). **„იპოვე შენი ვარსკვლავი“** მეორე პრემიით რეგიონალური კონკურსი - მესამე პრემიით **ლიზი ქობალია** (პედაგოგი **თეა მანჩხაშვილი**). **„ნორჩი ვირტუოზი“** პირველი პრემიით, **„იპოვე შენი ვარსკვლავი“** პირველი პრემიით, „რონდო-კლასიკა“ პირველი პრემიით ბარბარე მაჩაიძე (პედაგოგი **მ. რატიანი**). „ნორჩი ვირტუოზი“ მეორე პრემიით, „იპოვე შენი ვარსკვლავი“ პირველი პრემიით, რეგიონალური კონკურსი (უმაღლესი პრემია), ჩეხეთის საერთაშორისო კონკურსი „არტ დუო“ მეორე პრემიით **ოთარ ოთარაშვილი** (პედაგოგი **მ. რატიანი**). „სხვა საქართველო სად არის“ პირველი ტურის გამარჯვებული **ლევან ნოზაძე - ვოკალი** (პედაგოგი **ც. პავლიაშვილი**). „ნორჩი ვირტუოზის გამარჯვებული (პირველი ადგილი), **„იპოვე შენი ვარსკვლავი“ გრან-პრი,** რეგიონალური კონკურსზე უმაღლესი პოზიციით - **ილია ალთუნაშვილი,** პედაგოგი **მ. გაბაშვილი**. **„ნორჩი ვარსკვლავის“** გამარჯვებული (პირველი ადგილი), „იპოვე შენი ვარსკვლავში“ ვარსკვლავის მომპოვებელი, რეგიონალური კონკურსიდან უმაღლესი კატეგორიის მფლობელი, ქართული მუსიკის მეშვიდე ეროვნული კონკურსიდან პირველი ადგილი, ჩეხეთის საერთაშორისო „არტ-დუო“-დან პირველი ადგილი **ლიზი ხაჩიძე** (პედაგოგი. **მ. რატიანი**). ვიოლინოს ტრიო - (პედაგოგი **თეა მანჩხაშვილი**).

შემაჯამებელი ღონისძიების დასასრულს ყველა მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელებითა და მედლებით. ნაყოფიერ წლებს ვუსურვებთ პროფესიონალ გუნდს. ცერემონიას ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წარმომადგენლები, სადაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა **გიორგი ფერაძემ** სიტყვით გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ტენდენციას, რომ ინვესტიცია სწორედ ასეთ სკოლებში, მომავალ თაობებში უნდა ჩაიდოს. მან ასევე საზეიმო ვითარებაში გახსნა სკოლის ახალი ბანერი წარწერით: ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა.

გვერდის მასალები მოამზადა
ვოლიკა ჟანტურიამ